№ 250 27 ნოემბერი, ხუთშაბათი 1866—1880 27 ნოემბერი, ხუთშაბათი. № 250

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ ре[illegible] Дроэба“-„Иверіи“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| დროება“-„ივერია“ ერთად. | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ალკენომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით. რუსულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით აღარ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

მომავალ 1881 წელს

## დროება-ივერიის

### გამოცემაზედ

მომავალ 1881 წელს ყოველ-დღიური გაზეთი „დროება“ გამოვა იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომელების დახმარებით, როგორც აქამდისინ გამოდიოდა. როგორც იმ თავიდგან, გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს, ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისდა-გვარად, გაეკარგებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

„ივერია“ კი მომავალის წლიდამ გამოვა თთვე-და-თთვე, ე. ი. წელიწადში თორმეტი წიგნი, და ყოველ წიგნში იქნება არა-ნაკლებ 4 დიდის თაბახისა. რედაქცია იმედოვნებს, რომ ჟურნალი თავის დროსა და რიგზე გამოვა იმავე პროგრამმით, როგორც 1879 წელს გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა მიიღება:

**თბილისში:** „დროება-ივერიის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი და ჟურნალი: **Въ Тифлисъ. Въ редакцію Дроэба-Иверіи.**

### ფ ა ს ი:

| | 1 წლით | 6 თვით. | 3 თვით. |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ორივე ერთად — | 14 მან. | 8 მან. | 5 მან. |
| „დროება“ ცალკე — — — | 9 „ | 5 „ | 3 „ |
| „ივერია“ ცალკე — — — | 7 „ | 4 „ | 2 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება-ივერიისა“ { ილია ჭავჭავაძე, სერ. მესხი.

## ტელეგრამმები

(საერთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, 25 ნოემბ. „მმართებლობის მოამბეში“ სწერია: ნაბრძანებია, რომ სახელმწიფო და აღმასრულებელი პოლიციების დეპარტამენტი ერთ დაწესებულებათ გადაკეთდეს და სახელმწიფო პოლიცია დაეთქვას; გაუქმდეს ჟანდარმების შეფ და შინაგან საქმეთა მინისტრს რომ იურისკონსულტის ნაწილი ებარა; დაფუძნდეს შინაგან საქმეთა სამინისტროში სასამართლო განყოფილება.

**ვაშინგტონი**, 25 ნოემბ. გუშინ დაიწყო კონგრესსის სხდომები; პრეზიდენტის სიგელი იხსენებს გარეშე სახელმწიფოებთან კარგს განწყობილებას, ფინანსთა დამაკმაყოფილებელს მდგომარეობას და წინადადებას იძლევა, რომ დიდს სამხედრო დამსახურებისათვის გრანტს მიეცეს დენერალ-კაპიტანობა.

**ლონდონი**, 25 ნოემბ. დიფთერინგი დღეს წავიდა პეტერბურღი.

**პარიჟი**, 24 ნოემბ. ტიერის ქვრივი გარდაიცვალა.

**პეტერბურღის ბირჟა**, 25 ნოემბერს.

(„საერთაშორისო ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 95 | 37 |
| მეორესი — — — — — | 92 | 37 |
| მესამესი — — — — — | 93 | 25 |
| მეოთხესი — — — — — | 93 | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 90 | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 91 | „ |
| აღმოსავლეთის მესამე — | 90 | 87 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — — | 10 | „ |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 225 | „ |
| მეორე სესხის — — — | 216 | 25 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 24—69 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 210— „ | ცენტი |
| პარიჟი — — — | 260—12 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129—50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

## თელავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებას

მშა მმისთვისა — ამ დღისთვისა.
ვეითელი თქრო — შავი დღისთვისა.
ქართული ანდაზები.

ეს მესამე წელიწადია, რაც თელავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების წარმომადგენლებმა, დეპუტატებმა, განჩინება დასდეს, რომ სასწავლებელთან გაკეთდეს ოთახები კლასებისთვის და პანსიონისთვის ყმაწვილების სადგომ-სასწავლებლად. ამისგულისთვის მათ კიდევაც აღმოირჩიევს კომმისია სამის კეთილ-საიმედო სამღვდელოთაგან (მ. ხელაევი—ეხლანდელი თელავის ბლაღოჩინი, ი. ჩიკვაიძე და ი. შიუკოვი), რომელსაც მიანდეს საჭირო ცნობების შეკრება ამ საქმის შესახებ. ამასთანავე, რადგან სამღვდელოებას არა ჰქონდა სახლებისთვის საკუთარი ადგილი და უამისოთ შენობის დაწყობა არ შეიძლებოდა, სასწავლებლის მმართველობამ იმედი მისცა ადგილის შესახებ საქმე ჩქარა გაეთავებინა, შე-

«დროების» ფელეტონი, 27 ნოემბ.

### გრას შარპ

ალფრედ ასოლანის მოთხრობა.

(ნათარგმნი ფრანცუზულიდამ.)

### თ ა ვ ი II

ლამაზი კაპიტანი ვილი.

კაპიტანი ვილი იყო ინგლისელი. სამი წელიწადია რაც ის გადმოსახლდა ჩვენს მასაჩუსეტის კოლონიაში. როგორც იძახდნენ იმის მოსამსახურენი და სხვანი, ის იყო ინგლისის მდიდარ და კეთილშობილის ჩამომავლობის კაცი.

იმისი მამა იყო ბიორგი კრანბიური, რომელსაც ჰყავდა ორი ვაჟი და ოთხი ქალი. მთელი თავისი ქონება მამამ დაუტოვა უფროსს ვაჟს და უნდოდა, რომ თავისი სიკვდილის შემდეგ ის გამხდარიყო ლორდების პალატის წევრათ. უმცროსს კი მისცა რამდენიმე ათასი მანეთი და მასაჩუსსეტში ტყე და მინდორი. იმის ჩამომავლობის და შეძლების ამბავი რომ შეიტყვეს, ყველამ კარი გაუღო და ყველგან მიღებული იყო.

კაპიტანი იყო ლამაზი, მოსული და კარგი შეხედულობისა. ყველა ახალგაზდა ქალები იმისგან ალტაცებაში იყვნენ.

ერთ საღამოს ჩემ მეგობართან ფოკსთან იყო ვახშმათ; ოთხი ბოთლი ინგლისური ღვინო რომ გამოცალა, დაუჩოქა ფოკსის ცოლს და სიყვარული გამოუცხადა. მაშინვე გამოაგდეს სახლიდამ. იმისი მოსამსახურები გვარწმუნებდნენ, რომ ყველა დიდ-კაცს ამ გვარი ჩვეულება აქვთო. არ ვიცი, თუ მართლა ყველა ინგლისის დიდ-კაცები და სახლის კაცები ასე იქცევიან, მაგრამ მაინც ამ კაცს ჩემს სახლში არც უშვებდი და არც ურჩევდი ჩემს შვილებს იმასთან დამეგობრებას. ჩემს სახლობას ძალიან სწყინდა პირველში ჩემი ამისთანა სასტიკი ქცევა, მაგრამ ბოლოს დამორჩილდნენ.

ჩემი მრევლი კი პირ-იქით ყველა საზოგადოებაში და შეკრებილებაში ჰპატიჟობდა იმას. ის ყველაზე უკეთესად ტანცაობდა, მღეროდა და სხვა-და-სხვა მხიარულ მოთხრობებს უამბებდა ხოლმე ქალებსა. ყმაწვილი კაცები იმის მიჰბაძვას ცდილობდნენ. ყველა ეს ამბავი მე ბოლოს შევიტყე.

ამ გვარი არეულობა გაგრძელდა ერთს წელიწადს. ბოლოს ჩვენს კოლონიას დაეცა მეხი, რომელმაც აუხილა ყველას თვალები: ერთ საღამოს კატო ტაილორის ქალი დაიკარგა. ედუარდ ტაილორი, ამ ქალის მამა იყო დიდად პატივცემული პირი ჩვენს საზოგადოებაში. ქალი დაიკარგა და ვერავინ შეიტყო—რა დაემართა და სად წავიდა.

ბოლოს ორის დღის ძებნის შემდეგ, შუადღისას, წყლის პირას, ნახეს დამღრჩვალი ქალი... ხელში ეჭირა პატარა ტყავის პარკი და ამ პარკში იყო წერილი კაპიტანთან. აი ამ წერილის შინაარსი:

„ვილი! თქვენ მე მომატყუილეთ. ვკვდები უიმედობით, რადგან დავენდე თქვენს სიტყვას. მაგრამ მე არ მიმყავს თან ჩვენი შეცოდების ნაყოფი. ის

მოერტყა გალავანი სასწავლებლის ეზოსთვის, გამოეწვივა არხიტექტორი გეგმის ასაღებად და სქემის შესადგენად.

ყველა ეს პირობანი ეხლა თითქმის შესრულებულნი არიან. ცნობა მოყვანილია, რომ ყველა ეკლესიებს მთელი სასწავლებლის ოლქისას აქვსთ ბილეთებით და ნაღდად სამი ათასი თუმანი (30,000 მ.), სასწავლებლის ეზო შემოზღუდულია შესაფერის გალავნით, არხიტექტორისგან გეგმი აღებულია და სქემაც შედგენილია, მხოლოდ ეს ორი უკანასკნელნი შენობათა კომიტეტს ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებია. ეს საქმე ცოტად შეაფერხა იმანაც, რომ წინათ მოსაზრული ადგილი სახლებისთვის არქიერს არ მოეწონა და ინება სხვა ადგილის ამორჩევა იმავე ეზოში. მაინც გეგმისა და სქემის შედგენა, როგორც თვით ეგზარხოსმა ბრძანა, ჩქარა იქნება და ამას დიდი დრო და დაბრკოლება არ დაუხვდება წინ, საჭიროა მხოლოდ სამღვდელოებამ საშუალება გამოაჩინოს შენობისთვის, ანუ უკეთ ფულზედ იზრუნონ.

სასწავლებლის საქმე ამ მდგომარეობაშია ეხლა.

ამასთანავე ამ წლის გასულს უთავდებათ სამი წლის ვადა სასწავლებლის მმართველობის წევრთაც სამღვდელოთაგან (მღ. ი. შიუკოვი და ი. ლაშხაუროვი).

ყველა ამ გარემოებათა მიხედულობით სასწავლებლის მმართველობის შუამდგომლობით, არქიერმა დანიშნა სამღვდელოთ ყრილობა თელავის სასწავლებლის ოლქისა განსახილველად შემდგომის კითხვებისა:

1) ამოარჩიოს სასწავლებლის მმართველობის წევრნი სამღვდელოთაგან;

2) მომავალის წლისთვის იქირაოს სახლები დაბალის კლასებისთვის, რადგან, ოთახების სიმცირის გამო, მოსწავლეთ მოთავსება ეხლანდელს სადგომში ყოვლად შეუძლებელია,

3) გამოაჩინოს წყაროები სახლების ასაშენებლად როგორც კლასებისთვის, ეგრეთვე პანსიონისთვის;

4) მოიფიქროს მის შესახებ, რომ სამღვდელოთაგან შეწირული ფული თავის დროზედ წარედგინებოდეს სასწავლებლის მმართველობას.

ეხლა კითხვა იმაზედ არის, თუ რამდენად საჭიროა ზემოხსენებულთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება? საჭიროა ამისათვის ორიოდე სიტყვა ვსთქვათ აღნიშნულს საგანზედ.

პირველი საგნის აღსრულებას მოითხოვს თვით სასწავლებლის წესდება.

მეორე საგნის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ თელავის სასულიერო სასწავლებელს თავის დაარსებიდგანვე არა ჰქონია ისეთი მოწყობილი სახლები, როგორც მოითხოვს თანამედროვე პედაგოგია. ჯერ ეხლა რა ყურადღებას აქცევენ ჩვენში სასწავლებელთ შენობებს მივარდნილ ადგილებში და რასაკვირველია, რომ 1817 წელს, როდესაც თელავის სასულიერო სასწავლებელი დაარსდა, ჯეროვანი ყურადღება არ მიექცივათ მისთვის! ოღონდ წვიმა არ ჩამოსულიყო ავდრის დროს სახლში, თორემ სხვა მოთხოვნილებისთვის თავი არ შეუწყენიათ. სასწავლებლის სახლები ორი სართულისაგან შესდგება. რადგან სახლები აშენებულია აგარაკის პირზედ, ამისთვის ძირის სართულის ნახევარი სრულებით მიწაშია და მხოლოდ ერთის მხრით (ისიც ჩრდილოეთიდამ) შედის სინათლე ოთახებში, ხოლო მეორე სართული მიწის პირიდამ არის დაწყობილი. უფრო სიმართლე იქნება, რომ ძირის სართულს სარდაფი უწოდოთ, ხოლო მეორეს პირველი სართული. ამ სარდაფში ორი კლასია ეხლა მეორე და მეოთხე. ისეთი სიბნელე სუფევს ამ კლასში, რომ შესვლისავე უმალ კლასში, ბევრიც რომ ეცადოთ, ვერას დაინახავთ, თუ კარგა ხანს თვალი არ მიეჩვია სიბნელეში მხედველობას.

აი ამისთანა კლასებში გახლავთ დაკიდებული გეოგრაფიული რუკები და არითმეტიკის დაფები და ამას გარდა მოსწავლენი სწერენ სხვა და სხვა სავარჯიშო დავთრებს!

ოთხი კლასი მაღლა სართულში არის, მაგრამ ერთს ოთახს გარდა, თავიანთ სიმცირით, არც ერთი არ არის გამოსადეგი კლასად. ყველა კლასებში არის სასხდომი (სტოლი) თითო წყვილისთვის დაკეთებული, მაგრამ, ადგილის უქონლობის გამო, თითოზედ სამსამი მოსწავლე ზის და გამოსავალი სასხდომიდამ მხოლოდ ერთი აქვსთ.

მკითხველმა მხოლოდ სიმცირე ოთახებისა არ უნდა იქონიოს საფუძვლად მათის უვარგისობისა. არც თვით შენობა გახლავსთ გამოსადეგი ეხლანდელს მდგომარეობაში, თუ საფუძვლიანად არ განახლდა. კედლები ისე არის ზოგან დახეთქილი, რომ ნაპრალებში ხელი გაივლის. როდესაც ყოვლად სამღვდელო იოანნიკემ გასინჯა სახლები, თვით ბრძანა, რომ ამისთანა სახლებში ყმაწვილების დამყოფება საშიში არისო. ეს აზრი საფუძვლიანია და ჭკვაში მოსასვლელი. კედლებს გარდა ჩარჩოები ფანჯრებისა და კარებებისა ისე არის სიძველისაგან დაძაბუნებული, რომ ანჯამებს და რაზა-კოჭაკს ველარ იმაგრებენ. ყმაწვილების კითხვასა და გალობას თვით სახლებიც ბანს აძლევენ თავიანთ ჭრიალ-რახა-რუხით.

განსაკუთრებით საცოდავს მდგომარეობას წარმოადგენენ სახლები ზამთარში. ირაკლის დროის ბუხრებში კარებში და მათში დანთებული ცეცხლი წარმოგიდგენთ, თუ რამდენად შეზავებულია ევროპის ხელოვნება ჩვენს შინაურს მოწყობილობასთან. ცეხლი ოთახების გასათბობათ კი არ ანთია, არამედ მხოლოდ შეშის დასაწვავად.

აი ამისთანა სანუკვრად მოწყობილს ოთახებში გახლავან ჩვენი ნორჩი ყმაწვილები, ახალი თაობა, და ემზადება საზოგადო სიკეთისთვის. ვის და რისთვის უნდა გადუხადოს სიკეთე, ამაზედ თვით მშობლებმა და საზოგადოებამ იფიქროს. იქნება იმისთვის, რომ ამისთანა მოწყობილობასთან ჩვენ უსუსურ ბალღებს, გარდა გეოგრაფიისა, არითმეტიკისა, საღრმთო წერილისა და სხვ. წინ უწყვიათ სასწავლო წიგნები: ბერძნული, ლათინური, რუსული, ქართული და ქართული ხუცური, ილებენ რავდენსამე სიტყვებს და.ცხრა-წვენა საჭამანდივით, ურევენ ერთი-ერთ მანეთში?

როდესაც ყმაწვილი ამისთანა პირობით არის გარემოცული, მისი წესიერი სწავლა არ შეიძლება, არამედ მხოლოდ დამახინჯება, როგორც თვით ყმაწვილებისა, ეგრეთვე თვით პედაგოგიის მოთხოვნილებათა. ამისთანა მდგომარეობაში, მითხარით, რომელი გენიოსი შეასრულებს თანამედროვე პედაგოგიის მოთხოვნილებას და ვრცელი სასწავლო საგნების პროგრამების აღსრულებას?

აქ ხელმძღვანელს შეუძლიან მოიქცეს არა ისრე, როგორც ითხოვს თანამედროვე ყმაწვილთა აღზრდის ხელოვნება, არამედ ისე, როგორც ამას მოითხოვს აღწერილი დამმახინჯებელი შენობა და სხვა პირობები. ამის შემდეგ თვით სამღვდელოებამ განიხილოს, თუ რამდენად საფუძვლიანია წინადადება სახლების ქირაობის შესახებ.

წარმოიდგინეთ, რომ სამღვდელოებამ გადასდო ქირა კლასებისა ანუ სახლისათვის. მაგრამ ამით საქმე სამუდამოდ არ ვაკეთდება და სამღვდელოებას ყოველ-წლობით დასჭირდება სახლების ქირაობა და ამას გარდა შესაფერს სახლებს და პირიან ფასათაც ვერ იშოვნის თელავში. ამასთანავე სამღვდელონი თვით დარწმუნდნენ გამოცდილებით, რომ სახლის პატრონები ძვირად აყენებენ მათ შვილებს, იმსახურებენ და ცუდადაც ჰკვებენ, რომელთაც ბევრი ზარალი ეძლევათ როგორც მამებს, ეგრეთვე მათ შვილებს.

ამ გარემოებამ აფიქრებინა მამებს სახლების გაკეთება როგორც კლასებისთვის, ეგრეთვე პანსიონისთვის. სასწავლებლის მმართველობამ შეასრულა სამღვდელოების მინდობილობა და ეხლა უდგენს განსახილველად ამ კითხვას. აღნიშნული სახლების საჭიროება თვით სამღვდელოებამ სცნო; კითხვა იმაზეა, თუ რა საშვალებით გააკეთონ ეს სახლები. თუმცა არხიტექტორს ჯერ კიდევ საქმის შედგენა არ გაუთავებია და სამღვდელოებისთვის არ გადმოუცია, მაგრამ

---

დაიბადა ამ დილას დეიდა-ჩემთან დორა ტაბილორისას, რომელიც შეატყობინებს ყველას იმის დაბადებას და ჩემს სიკვდილს.

„თუ ერთი ბეწო გიყვარდით, ყური უგდეთ ამ საცოდავს ბავშვს, თქვენ შვილს. მე ვსთხოვ დეიდა-ჩემს, რომ ყური უგდოს და ისე გაზარდოს, როგორც მე გამზარდა; მონათლოს და დაარქვას დიკი. საწყალი ქალი განა წარმოიდგენდა ამას თავის დღეში! მშვიდობით, ვილი; მაღალმა ღმერთმა მაპატია მე და მეც შენ გაპატიე."

კატო.

აი ამ გვარი გახლდათ იმ საწყალი ქალის ბოლო. შემთხვევით, ამ ქალის მამა, რომელმაც არ იცოდა თავის ქალის შერცხვენა და უბედურება, თევზს იჭერდა ზღვის პირას. საშინელი ქარი ამოვარდა და დაიხრჩო. ბედნიერებაა თუ უბედურება? ტაილორი იყო პატიოსანი კაცი და ღვთის მოყვარე. მთელი თავისი სიცოცხლე და სიხარული იმ ერთ ქალზე ჰქონდა დამყარებული და მშვიდობიანათ ვერ მოისმენდა თავის ქალის გაუპატიურებას. რასაკვირველია, ის მაგიერს გადაუხდიდა ვილის. მაგრამ ის დაიღუპა და ვილი კი დარჩა მოსვენებული, რადგან არ ეშინოდა მოხუცებული დორასი, რომელმაც დამარხა საწყალი კატო და თითონ გადვიდა ამ ადგილიდამ დარჩენილ ყმაწვილის გასაზრდელათ.

მე კვირა დღეს უამბე ჩემს მრევლს ეს უსიამოვნო ამბავი ქადაგებაში და მივმართე მაღალ ღმერთს, რომ გადეხადა ბოროტისათვის სამაგიერო. ხალხი ძალიან შეძრწუნდა და აღელდა ამ ამბის შეტყობით. შეიკრიბნენ რამდენიმე ყმაწვილი კაცები, რომ თავს დასხმოდნენ კაპიტანს ჩაემტვრიათ ფანჯრები და კარები და მიებეჟათ თითონ ის ვაჟბატონიც. მაგრამ შეეტყო თუ არა კაპიტანს კატოს სიკვდილი, გაქცეულიყო სადღაცა.

ექვსის თვის შემდეგ, კაპიტანი ვილი გამოჩნდა ისევ და ყველაზე პირველათ ჩემთან მობრძანდა და მოწიწებითა და თავ-მოდრეკით ბოდიში მოიხადა და ითხოვა, რომ მიღებული იყოს ჩვენის საზოგადოებისაგან. ბევრი ცრემლი ღვარა და მოინანა თავის შეცოდება ისე, რომ ყველას დაგვარწმუნა თავისი შენანება. მე მაინც კიდევ ძნელათ დაუჯერებდი იმის ცრემლს, რომ მთელი ჩემი მრევლი მიაწამეთ არ დასწრებოდნენ.

ბოლოს, როგორც იყო, ვაპატიეთ, დაუთმეთ და ნება მივეცი საყდარში შემოსვლისა. ცოტ-ცოტათი ჩვენს პატიოსან საზოგადოებას დაავიწყდა იმის ბოროტი საქმე,—არ ვიცი იმიტომ, რომ არ უნდოდათ ჩხუბი მდიდარ მემამულესთან, თუ იმიტომ რომ გასათხოვარი ქალები ჰყავდათ და კაპიტან ვილი ძალიან სასარგებლო საქმრო და სასიძო იყო, თუ სხვა მიზეზებისა გამო, ისევ დაიწყეს მიპატიჟება. მარტო მე დავრჩი შეურყეველი და ჩემი ცოლიც ჩემკენ იყო, თუმცა ქალები უკმაყოფილოთ დამრჩნენ.

(გაგრძელება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც შეიძლება დაახლოებით დავასახელოთ შენობის ფასი, რომელიც უნდა დაჯდეს არა ნაკლებ ოთხი ათასი თუმნისა (40,000 მ.). ამ ფულის შესავსებად სამღვდელოებას აქვს შემდგომი წყაროები: ეკკლესიების ფული (30,000 მ.), სანთლის ქარხანა, კანტორის ხაზინა და თავიანთი ჯიბე. თუ გაჭირდა საქმე, კანონი ნებას აძლევს ერთი ოლქის სამღვდელოებას შემწეობა სთხოვოს გაჭირების დროს ეპარხიის სამღვდელოებას. ყველა ეს რომ მიიღოთ სახეში, სამღვდელოება არ უნდა შეკრთეს ხარჯზედ. თუ ერთ-გულად ხელი შეუწყეს ამ საქმეს და გულით ისურვეს ამის კეთილად დაბოლოება, იმედია, რომ ძლიერ ადვილად შეასრულებს. სამღვდელოთ შეუძლიათ ეკკლესიების შემოსავლიდამ, თუ ნახევარი არა, მესამედი მაინც მოახმარონ ამ საქმეს, ე. ი. 10,000 მ., არ შეიძლება, რომ კანტორამ და სანთლის ქარხანამ 10,000 მ. მაინც არ მისცეს სამღვდელოებას ამისთანა კეთილი საქმის დასაწყობად. ათასი თუმანი რომ ოლქის სამღვდელოებამ გაინაწილონ, თითო კრებულს შეხვდება თითქმის 69 მ., რადგან სასწავლებლის საოლქოში ირიცხება 145 საეკკლესიო კრებული. თუ ამ ფულის ერთბაშათ შემოტანა გაუჭირდება სამღვდელოებას, შეიძლება შეკრიბოს ეს ფული ორი წლის განმავლობაში. მაშინ წლის ნასამედში შეხვდება თითო კრებულს (მღვდელს მეფსალმუნეებით) 11 მ. 50 კ. ხოლო დანაშთენი 10,000 მ. შეიძლება სამღვდელოება ესესხოს ან კანტორას საქართველო-იმერეთისას, ან თვით უწმინდესს სინოდს ათის ანუ თხუთმეტის წლის ვადით. ამ დროს განმავლობაში სამღვდელოებას შეუძლიან ნასესხი ფული მოიშოროს ეკკლესიების შემოსავლიდამ, რადგან ამ ვალის მოშორება სრულებით არ გაუჭირდება ათისა ანუ თხუთმეტი წლის განმავლობაში იმისთანა შემოსავლიან ეკკლესიებს, როგორნიც არიან მაგ., თეთრ-გიორგი, მავაზის წმ. გიორგი, ალავერდი, წყაროს-თავი და სხვ.

(შემდეგი იქნება)

## ახალი ამბები

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ახალსენაკის მომრიგებელ მოსამართლის ბ. ბერიძისაგან ოფიციალური ქაღალდი, რომლითაც გვიცხადებს, რომ მე დავიწყე საჩივარი იმ კორრესპონდენციის თაობაზედ, რომელიც „დროების“ მე 244 ნომერში იყო დაბეჭდილი და ამის გამო გთხოვთ, რომ ამ კორრესპონდენციის ავტორის სახელი, გვარი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი შემატყობინეთო. ამასაც არ სჯერდება ბ. ბერიძე: მოგვთხოვს იმ კორრესპონდენციის დედანიც გამომიგზავნეთო, საქმეში ჩასაკერებლად არის ჩემთვის საჭიროვო!

გასაკვირველია, ღმერთმანი! უკანასკნელი ასჯერ მაინც მოგვსვლია ამისთანა მოთხოვნილება სხვა-და-სხვა პირებისაგან, ყველასთვის უარი გვითქვამს ავტორების გამოაშკარებაზედ, გამოგვიცხადებია, რომ ჩვეულებად არა გვაქვს კორრესპონდენტების გაცემა, ვისაც ჰსურს, შეუძლიან თვითონ რედაქციას უჩივლოსო,—მაგრამ მაინც არ გვეშვებიან, მაინც კიდევ გვთხოვენ—გვითხარით, ვინ დასწერა ესა-და-ეს კორრესპონდენცია ან სტატია, უნდა უჩივლოვო და სხვ.

ერთხელ კიდევ და სამუდამოთ გამოგვიცხადებია ბ. ბერიძისა და სხვებისათვის, რომ არც გაზეთით და არც სასამართლოს წინაშე ჩვენ არასოდეს არ გავცემთ ჩვენ კორრესპონდენტებს, თუ თვითონ ეს კორრესპონდენტები არ გამოაცხადებენ ამის სურვილს.

***

მომავალ 1881 წელს კავკასიის აქეთა-მხრის შემოსავლიდამ სხვა-და-სხვა უწყებებსა და დაწესებულებათ მიეცემათ სხვათა შორის, შემდეგი შემწეობა:

ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებას — 17,750 მ.
თფილისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელს — 7,360 მ.
საქალებო ინსტიტუტს — 8,540 მ.
თფ. საქალებო გიმნაზიას და პროგიმნაზიას — — 7,000 მ.
კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას — — — — 6,000 მ.
თფ. ახალი თეატრისათვის 42,195 მ.
გაზ. „კავკაზის“ რედაქტორს 2,000 მ.

კავკასიის სხვა-და-სხვა ქალაქებს 179,568 მან. მიეცემათ შემწეობა ხაზინიდამ, აქედამ ქ. ფოთს მიეცემა 13,000 მან. და სხვ.

***

ამ ორშაბათს დანიშნული ქალაქის რჩევის სხდომა ვერ შესდგა, რადგან ხმოსანთა საკმაო რიცხვი არ მოვიდა.

***

თელავიდამ გვწერენ, რომ თელავის მაზრის სამღვდელოთა დეპუტატების კრება ამ ნოემბრის 29-ს არის დანიშნული, რაზედ ექნება ამ ყრილობას მოლაპარაკება—ამას დღევანდელ ნომრის წინა სტატიიდამ შეიტყობთ.

## ეპისკ. ზახარიანის წირვა

ართვინიდან ჩამოსულმა ზახარიან ეპისკოპოსმა პირველათ სწირა შუაბაზრის ქართველ კათოლიკების ეკკლესიაში 21 ამ თვისას, დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, უმთავრესობა შეადგენდა სომხობა და რუსობა.

წირვის დროს ეპისკოპოსმა ზაქარიანმა წარმოსთქვა ორიოდე სიტყვა, რომელშიაც გამოხატა ახალ-შემოერთებული მაჰმადიან საქართველოს წარსული ბედი და მისი გავლენა იქ მყოფთ ქრისტიანობისა და ამასთანვე წარმოსთქვა, რომ ყოვლად-შემძლებელ ღმერთმა ინება შესმენა ამდენ ხანს მათი ტანჯვისა, ინება შეწევნა ქრისტიანობისა. რა ყოვლად-შემძლებელმა უზენაესმა მოძღვარმა ინება ამ ბედნიერების მონიჭებაო, ახლა საჭიროაო, სთქვა ზაქარიანმა: შევერთდეთ, მივყოთ მაგრად ხელი და მტკიცეთ და გულ-მოდგინეთ ვემსახუროთ ჩვენს აწმყოს და მომავლის ბედს და ძმობასაო.

ყოველივე ეს სიტყვები მისი მშვიდობიანის სახით, გრძნობიერათ იყო წარმოთქმული და ვისაც კი ესმოდა (სომხურათ ჰქადაგებდა), ეჭვი არა გვაქვს, რომ მათზე შთაბეჭდილებას მოახდენდა...

მართალია, ყველას გვიხარიან ახლა მაჰმადიან საქართველოს შემოერთება და მათი დახსნა ოსმალების ხელიდგან, მაგრამ იმედი გვაქვს ამ სიხარულს ეპისკოპოზი ზაქარიანი სანანებლათ არ გაუხდის შთამომავლობას.

აი, როგორ: ჩვენ ვიცით, რომ მ. ზაქარიან ეპისკოპოზი არის შთამომავლობით ქართველი კათოლიკე, მაგრამ ისტორიულ გარემოებას და სომხის კათოლიკობის წესის წყალობას ამისათვის დაუვიწყებია სრულებით როგორც ქართველობა, ისე ქართული ენა; და რადგანაც არა-ერთი ვიცით მაგალითი, რომ გაუნათლებელ ხალხში სარწმუნოების წოდება გვაროვნობის წოდებათ არის გადაქცეული (ქართველ ლათინის რიგის კათოლიკეს რომ ჰკითხოთ, გეტყვის, რომ მე „ფრანგი“ ვარო, და ქართველობას მართლ-მადიდებელის სარწმუნოებას ეძახის და ამითი ის უარ-ჰყოფს ქართველობას), ამისათვის ინებებს შენიშვნას და იმ განხეთქილების დანახვას, რაც ამ სარწმუნოების წყალობით არის წარმოდგენილი და სიფრთხილეს იხმარს, რომ ამ ნაირი განხეთქილების მოსპობისათვის წინ-დახედვით მოქმედებდეს.

ამ შენიშვნის მიცემით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჩვენ რაიმე ეჭვი გვქონდეს ეპისკოპოზ ზაქარიანზე; არა, ამას ვერ გაბედავს ამ შენიშვნის დამწერი, მაგრამ, რადგანაც ჩვენ შორის განხეთქილება და გაყვანილი აზრები კარგათ ვიცით, ამისათვის მეტათ არ ჩავთვალეთ, რომ ჩვენი აზრი საქვეყნოთ გვეთქვა...

ლ.

## ვეფხვის-ტყაოსნის რედაქცია

ორშაბათ საღამოს, 24 ნოემბერს, მოხდა პირველი ყრილობა ქართულ მწერლობის მოყვარულთა, რომელთაც აქვს განზრახვა დაბეჭდილი „ვეფხვის-ტყაოსანი“ შეათანხმონ ხელთ-ნაწერ „ვეფხვის-ტყაოსნებს“.

ყრილობას დაესწრნენ: თავ. გრ. დიმ. ორბელიანი, ილ. გრ. ჭავჭავაძე, რაფ. დავ. ერისთავი, ს. ს. მესხი, გ. ე. წერეთელი, პ. ი. უმიკაშვილი, ალ. ტარ. მიქელაძე, ი. გ. მაჩაბელი, თ. დ. ჟორდანია, ვ. ს. მიქელაძე და ათიოდე სხვა ყმაწვილი კაცები, რომელთ შორის იყო იტალიიდამ ახლათ ჩამოსული ჩვენი მხატვარი ბატ. ბერიძე.

სანამ ყრილობა დაიწყებდა საქმის გარჩევას, პ. ი. უმიკაშვილმა აღძრა კითხვა იმაზე, რომ ის პოემის ვარიანტები, რომლებიც ხელთ აქვს ახლა ყრილობას, საკმაო არ არის ტექსტის აღსადგენათ და სთხოვა ყრილობას, რომ ჯერ რამე ღონისძიება ეხმარათ საკმაო ხელ-ნაწერების საშოვნელათ და შემდეგ დაეწყოთ ტექსტის აღდგენა. ყრილობამ მიიღო ეს წინადადება და დაასახელეს 19 კაცი, რომელთაც უნდა მიეწეროს წერილი და ეთხოვოს ხელ-ნაწერი „ვეფხვის-ტყაოსანი“ მიწერ-მოწერისთვის დანიშნეს ვადათ ერთი თვე, რომლის შემდეგ ხელ-ახლა მოხდება ყრილობა. ეს ყრილობა არის დანიშნული ორშაბათს, 11 იანვარს, 1881 წ. ამ წერილების მიწერა და საზოგადოთ ამ საქმეში თაოსნობა ყრილობამ ერთხმათ სთხოვა თავ. გრ. დიმ. ორბელიანს, რომელმანც სიამოვნებით ინება ამ საქმეში მონაწილეობის მიღება.

„—საკვირველი დრო დადგაო, ბრძანა თ. გრ. ორბელიანმა. წინათ ისეთი ოჯახი როგორ იქნებოდაო, რომ „ვეფხვის ტყაოსანი“ არ ჰქონოდათ. ქალს რო გაათხოვებდნენ, მზითევში ატანდნენ ამ წიგნს და მზითვის სიაში უწერდნენ.

ახლა სანთლითაც ვერსად იპოვნითო...“

ყრილობა ამ პირველ საღამოს არ შეუდგა „ვეფხვის ტყაოსნის“ კითხვას. საუმჯობესოთ იცნეს უფრო ბევრი ხელ-ნაწერებისთვის მოეცადნათ.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ ზოგიერთა პირებმა განაცხადეს სურვილი, რომ ყრილობას „შემოეფარგლა შრომის მოედანი“, როგორც სთქვა ილ. ჭავჭავაძემ.

ვ. მიქელაძემ და პ. უმიკაშვილის სურვილი იყო ტექსტის აღდგენების გარდა წიგნისათვის კომენტარიაც დაერთოთ.

გ. ე. წერეთელმა სთქვა, რომ ჯერ ყრილობას ამ საქმისათვის უნდა თავმჯდომარე აერჩიათ და შემდეგ თვითონ შრომა ამგვარათ წაეყვანათ: საქმეში მონაწილე პირები დაყოფილი—იყვნენ წრეებათ და თითო წრეს ამოერჩია განსაკუთრებით მიზნათ ზოგს გაუგებარის სიტყვების ლექსიკური განმარტება, ზოგს გაუგებარი ჰაზრის ახსნა, ზოგს ისტორიული თუ ზნეობითი ნაწილი პოემისა და სხვ...

თავ. გრი. დიმ. ორბელიანმა, ი. ჭავჭავაძემ და დამსწრეთა უმრავლესმა პირმა გადასწყვიტეს, რომ უმჯობესი იქნება „ვეფხვის ტყაოსანი“ გამოიცეს ისე, როგორც ეხლამდის გამოუციათ, ე. ი. ტექსტი იქნეს აღდგენილი და ამას სიტყვების განმარტება დაერთოს. ამასთან წინასიტყვაობაც გაუკეთდეს, სადაც იქნება მოყვანილი ცნობა რუსთაველზე და შენიშვნა „ვეფხის-ტყაოსანზე.“

ბოლოს ყრილობამ დაადგინა, რომ შრომის პროგრამმა, რომელზედაც ილაპარაკეს ამ პირველს საღამოს, არ არის საბოლოო პროგრამმა, რადგანაც თვითონ კითხვა და წაკითხულზე ბაასი გამოაჩენენ ისეთ კითხვებს, რომლებიც დღეს თავში ვერავის მოუვა.

სხდომებზე თავმჯდომარედ ყრილობამ ამოირჩია თ. გრ. დ. ორბელიანი თანაშემწეთ. თ. ი. გ. ჭავჭავაძე და თ. რ. დ. ერისთავი.

ყრილობა დაიშალა 11 საათზე. დაიწყო 8-ზე.

ი. მეუნარგია.

*P. S.* მკითხველთ მოვაგონებთ აქ რედაქციის თხოვნას ხელ-ნაწერ „ვეფხვის-ტყაოსანზე: „ვისაც აქვს, ვთხოვთ გამოგვიგზავნონ დროებით „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში სასიონის ქუჩა, № 41, ბაბანოვის სახლებში; ამ ადრესით: **Тифлисъ въ канцелярію Общества Грамотности**.

ი. მ.

---

# განცხადებანი

თფილისის ქალაქის

## გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ მისი თანადასწრებით 9 დეკემბერს 1880 წელს დანიშნულია ვაჭრობა **არენდით** გასაცემად ქალაქის **დროებით დუქნებისა** რიცხვით 40 ავლაბრის მოედანზე და რუსის ბაზარზე რიცხვით 18, 1 იანვრიდამ 1881 წლიდამ 1 იანვრამდე 1883 წლამდე.

3—1

---

თფილისის ქალაქის

## გამგეობისაგან

**თფილისი ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ მისი თანადასწრებით 5 დეკემბერს 1880 წ. დანიშნულია ვაჭრობა **არენდათ** გასაცემად **ბუდკების** ქვეშ ადგილებისა ხელოვნებითი მინერალური წყლების გასაყიდველად, 1 იანვრიდამ 1881 წლისა 1 იანვრამდე 1883 წლამდე, ქვემოხსენებულთ ალაგებზე: გოლოვინის პროსპექტზე 5, ერევნის მოედანზე 2, ალექსანდროვის ბაღთან სახელმწიფო პალატის პირ-და-პირ 1, აბათ-აბათის მოედანზე 1 და ნავთლუღში).

(3—2)

---

შენიშნვა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

**მაკ - მასტერი**

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ეხლა 2 მანეთად ღირს.

(100—73)

---

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახლად დაბეჭდილი წიგნი საქართველოს ეგზარხოსის ნებართვით **პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოს ეჟენდისთან**

თხზულება ს. ბეგიაშვილისა ფასი 70კ.

---

**გორის დამზოგველ საზოგადოებისაგან**

გორის სამაზრო დამზოგველი საზოგადოება უმორჩილესად სთხოვს იმ პირთ, რომელნიც ამ საზოგადოების წევრად ჩაეწერნენ და წელსაც ესურსთ წევრობა, თავიანთი საწევრო შესატანი ფული წარუდგინონ საზოგადოების წევრ-დამფუძნებელს თ. რევაზ შალვას ძეს ერისთავს, რომელიც გორში სცხოვრებს.

5—2

---

ახლად გაიხსნა

## თევზეულის მაღაზია

ერევნის მეიდანზედ თამამშოვის ქარვასლის ლომების ქვეშ აღმოსავლეთის მხრით, გენერალი ტერ-ასატუროვის სახლების პირ-და-პირ, სადაც ისყიდება პარტიობით და წვრილად ახალ-ახალი ხიზილალა და ქიდკა; აგრეთვე ყოველ-გვარი თევზეული ახალი და ხმელი, რომლებიც მოსდის მაღაზიას სალიანიდამ და იმის გარეშემო ვათაგებიდამ. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ აღნიშნულ მაღაზიას.

5—2

---

პროვანსკის ზეთის

## ფაბრიკა ს. მ. მღებროვისა

ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ახალ ფაბრიკაში ვაკეთებული პროვანსკის ზეთი ფუთი 16 მანეთად ისყიდება, ადგილობრივი, კავკასიის ზეთი კი ფუთი 12 მანეთად. წვრიმალად ზეთი ისყიდება სოლოლაკის ქუჩაზე, შაკიევის მაღაზიაში, ღენ. სუმბათოვის სახლებში, და ნარდათ, პარტიობით კი მღებროვის საკუთარს მამულში ერევნის ქუჩაზე, სახლის № 16.

ვინც ქალაქს გარეშე ადგილებიდამ დაიბარებს ამ ზეთს, მოთხოვნილებას მსწრაფლად და ბეჯითად შეუსრულებთ. ვინც ნარდათ, პარტიობით ისყიდის ბლომად, იმათ 10°/₀ დაეთმობა 100 მანეთის საქონელზე.

ამას გარდა აქვე ისყიდება **კაპტონი**, ზეთის ნახადი, რომელიც ასუქებს ყოველ გვარ შინაურ საქონელს, ფუთი 1 მან.

(5—3)

---

**პატენტიანი ჭურჭელი**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—81)

---

**მთავარი კანტორა დანდოებით ამხანაგობისა**

## „იაგორ კასუმოვი და ამხ.“

ერევნის მოედანი გ. ჯაყელის სახლი.

ყიდულობს და ჰყიდის ყოველ ნაირ სარგებლიან ქაღალდებს; იძლევა სესხს სარგებლიან ქაღალდების და 5°/₀ მოგებითი სესხის ბილეთების გირაოთი ერთიდამ 12 თვემდე. სესხის გადახდა შეიძლება ერთად ანუ თვე-და-თვე გადახდით.

სხვა ბანკებში დაგირავებულნი °/₀ ქაღალდები შეიძლება კანტორამ გამოიყიდოს და თვითონვე დაიგირაოს სესხის მომატებით.

სხვა ქალაქებში და ტფილისის მიდამო სოფლებში მცხოვრებ მოვალეთა შეუძლიათ °/₀ ქაღალდები ფოშტით გამოგზავნონ კანტორის სახელობაზედ, და კანტორა დაუყოვნებლივ გაუგზავნის მათ ნაუწყი ადრესით ფულებს და ვასხებითი ხელშეკრულობას.

კანტორა იღებს ფულებს, რომელზედაც იძლევა, პირობათა გამოცლამდე:

1) შემონახულებათა ანგარიშებისამებრ და მოთხოვნილებამდე — — 4½ /
საპირობო ანგარიშისასამებრ — — — 5 —
2) 6 თვით ვადით შეტანილ ფულზე — 5½ —
12) თვის — — — 7 —
ერთი წლის მეტით — 8 —

3) საგანგებო პირობებით შემოტანილ ფულზე ამხანაგობის 1 ხარისხის პაის პატრონთა. — 9 —

შემოტანილ ფულების ანგარიში წელიწადში ორჯელ მოხდება, სახელდობრ: 30 ნოემბერს და 31 მაისს; ვადით შემოტანილ ფულებზე კი, შემომტანთ სურვილისამებრ, შეიძლება °/₀ თავიდამვე გადახდილ იქმნა.

კანტორაში შეტანილი ფულის თანხა, თუ შემომტანის სურვილი იქნება, ვადის გასვლამდინაც შეიძლება დაბრუნებულ იქმნას: მოთხოვნისა 10 დღის შემდეგ, სარგებლის გამოთვლით წლიური 5 °/₀ ზომით, იმაზე უფრო ბევრი რასაც კანტორა იძლევა შემოტანისთანავე,

სხვა ქალაქებში და ტფილისის მიდამო სოფლებში მცხოვრებთ ფულის შემომტანლებს, რომელთაც შესანახავად ფულის შემოტანა სურთ, შეუძლიათ ისინი ფოჩტით გამოგზავნონ და იმათ იმწამსვე გაეგზავნებათ სათანადო მოწმობა.

ამხანაგობაში მყოფ პირებს, ვექსილებით სესხების მიცემის დროს, ცნობილ პირთა თავდებით, კანტორა ახდევინებს:

თვე-და-თვე გადასახად სესხზედ — — — — 10 °/₀
კვირაში ერთხელ — 9 —

ვადამდე გადუხდელობით ... ეცემა ფირმასთან საგანგებოდ შეთანხმებით.

ყიდის მოგებიან 5 °/₀ ბილეთს ორივე სესხისას, შემოსატან გადასახადის დროებით; ამასთანავე ბილეთის მყიდველს და ხვედრი ფულის ამ რიგად გადამხდელს, მონაწილეობა ექნება მოგებაში, რომელიც შეიძლება ერთი წლის განმაელობაში ხვდეს იმ 20 ნომრებს, რომელიც მოხსენებულია მოწმობაში, ოთხს ტირაჟში.

იღებს შეკვეთას ოდესის ექვს სხვა - და - სხვა ნაირ მშვენიერ თესლების ხარისხის ფქვილზე, ხორბალზე, ქერზე, დიკაზე და სხვ. და სხვ. ზომიერ ფასებით. ამ სანოვაგეთა ნიმუშების ნახვა შეიძლება მთავარ კანტორაში.

სრული და დაწვრილებითი ცნობანი და ახსნა საქმისა, მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე დილის 9—დამ 2—მდე; დღესასწაულობით და კვირაობით დილის 8—დამ 10 საათამდე.

(10—9)

---

ინგლისის მაღაზიაში

**თმის აღმდგენი მაკ-მას-ტერი**



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—14)

---

ტფილისში

## შავერდოვის გაზეთისსააგენტო

(გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდროვის ბაღთან, შავერდოვის პავილიონში.)

**დაიწყო ხელის-მოწერის დრო 1881 წლისათვის**

ყველა დრო-გამოშვებითი გამოცემაებზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და საზღვარ—გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: **Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова.**

(25—11)

---

**Дозволено цензурою. Тифлисъ 26 Ноября 1880 г. Типографія Меликова** გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.